

უაკ 378**უსინათლოთა და მცირემხედველთა სწავლება უმაღლესი სკოლის საფეხურზე - არსებული კანონმდებლობის ანალიზი****მარიამ ჩხაიძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ქ.თბილისი, კოსტავას 77

ანოტაცია: ნაშრომში შესრულებულია იმ საკანონმდებლო ბაზის ანალიზი, რომელიც აწესრიგებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებრივ მდგომარეობას. დაწვრილებით არის განხილული თვითოეული მარეგულირებელი დოკუმენტი და შესწავლილია საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უმაღლეს საფეხურზე სწავლების რა პირობებს და საშუალებებს გვამდევს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა, და თუ არის რამე ცვლილება საჭირო ამ მიმართულებით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით. ჩატარებული კვლევისა და ანალიზის შედეგად გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები, ასევე მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: შშმ პირები, უსინათლო და მცირემხედველი პირები, უმაღლესი საფეხურის განათლება, საკანონმდებლო ბაზა.

შესავალი:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, კერძოდ, კი ტოტალურად უსინათლოთა და მცირემხედველთათვის განათლების უმაღლეს საფეხურზე სწავლისა და პროფესიის ხარისხიანად დაუფლების პირობები და საშუალებები ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს მათ შეუფერხებელ სწავლებას. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მიერ აშკარად გამოიხატება მხარდაჭერა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისადმი, საქართველოში მოქმედ უმაღლეს სასწავლებლებში არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ხელშემწყობი სპეციალიზებული პროგრამული თუ აპარატურული პაკეტი, მიუხედავად იმისა, რომ სასკოლო განათლების ყველა საფეხურისთვის უსინათლოთა და მცირემხედველთათვის სწავლების მეთოდოლოგია და სხვადასხვა პრაქტიკული დამხმარე საშუალებები კარგად შესწავლილი და დამუშავებულია.

ოფიციალური მონაცემებით საქართველოში მცხოვრები ტოტალურ უსინათლოთა რაოდენობა შეადგენს 7159 ადამიანს, ხოლო მცირე მხედველთა რიცხვი 2-3-ჯერ აღემატება ტოტალური უსინათლოების რიცხვს. ასე რომ, ბენეფიციართა საერთო რიცხვი მიახლოებით შეადგენს 20-დან 25 ათასამდე ადამიანს [1].

აუცილებელია უმაღლესი სასწავლებლებისთვის შემუშავდეს უსინათლოთა და მცირემხედველთა სწავლების ისეთი მოდელი - სისტემა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პედაგოგიური-მეთოდოლოგიური აპარატით და გათვალისწინებული იქნება ასეთ სტუდენტთა ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური თავისებურებები.

ამ მიზნის მიღწევისთვის, კვლევის საწყის ეტაპზე აუცილებელია საქართველოში ტოტალურად უსინათლოთა და მცირემხედველთა უმაღლესი სკოლის საფეხურზე სწავლების შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შესწავლა. ამისათვის განვიხილეთ და

გავაანალიზეთ ის დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებს საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებს და ზოგადად, მათ მდგომარეობას. ეს დოკუმენტებია:

- ა) საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ [2];
- ბ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2006 წლის 13 დეკემბრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია [3];
- გ) სალამანკას 1994 წლის დეკლარაცია ინკლუზიური განათლების შესახებ [4];
- დ) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია და წესდება [5];
- ე) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია და წესდება [6];
- ვ) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია და წესდება [7];
- ზ) თავისუფალი უნივერსიტეტის მისია და წესდება [8].

კანონმდებლობის ანალიზი:

თავდაპირველად დავინტერესდით, თუ რა პირობებს უქმნის საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ [2] ტოტალურად უსინათლოებს და მცირემხედველებს. მოვიტანოთ შესაბამისი ამონარიდები:

...”მუხლი 3. უმაღლესი განათლების მიზნები

1. საქართველოში უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნებია:

ა) ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის;

ბ) პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;

გ) პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება და ინტერესებული პირებისათვის;”[2]

აქ რა თქმა უნდა, არ არის ნახსენები არც უსინათლო ან მცირემხედველი პირი და არც ზოგადად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი, მაგრამ მუხლი 3-ში მოყვანილი მიზნები ადასტურებს და ეთანხმება იმ განაცხადს, რომ უმაღლესი განათლების სისტემა დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე უნდა იყოს ორიენტირებული და ხელი უნდა შეეწყოს ადამიანის პიროვნული პოტენციალის რეალიზებას და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას.

შემდეგი ამონარიდი: “...ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება:

ა) ამზადებს პიროვნებას ისეთი პროფესიული მოღვაწეობისათვის, რომელიც მოითხოვს სამეცნიერო ცოდნისა და მეცნიერული მეთოდების გამოყენებას;

ბ) ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე;

გ) ხელს უწყობს სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას;

დ) ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთათვის სწავლის პირობების შესაქმნელად; ე) ხელს უწყობს თავის ფარგლებში სპორტის განვითარებას;”[2]

აქ უკვე პირველად გვხვდება განმარტება შეზღუდული შესაძლებლობების

მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ და დ) პუნქტი პირდაპირ მიუთითებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომ ისინი ვალდებული არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებს შეუქმნან სწავლის შესაფერისი პირობები.

ახლა განვიხილოთ მუხლი 43, სადაც საუბარია სტუდენტთა უფლებებზე:

“მუხლი 43. სტუდენტის უფლებები

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის აწესებს შეღავათებს მათი სრულფასოვანი განათლებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად, რაც განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით.”[2]

როგორც ვხედავთ, წინამდებარე ამონარიდში მოყვანილი “შესაფერისი პირობების შექმნას” დაემატა მითითება, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეუძლიათ დააწესონ გარკვეული შეღავათები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისათვის, საქართველოს კანონმდებლობის და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდების განსაზღვრულ ჩარჩოებში და შექმნან აუცილებელი პირობები მათი სრულფასოვანი განათლების მიღებისთვის.

ჩვენი აზრით, შეღავათის დაწესება რა თქმა უნდა კარგია, თუმცა, გაცილებით უფრო ქმედითუნარიანი იქნებოდა მითითება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სწავლების სპეციალური სასწავლო გრაფიკის შედგენაზე და მათი სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით აღჭურვილი ყველა იმ სერვისების მიწოდებაზე, რასაც ზოგადად სთავაზობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება თავის სტუდენტებს. გარდა ამისა, ვთვლით, რომ საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ მცირედით შეეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საკითხს და საჭიროა უფრო მეტი დაზუსტება და მეტი კონკრეტული მითითებების დამატება.

საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული კანონებისა და კონსტიტუციის გარდა, ვალდებულები ვართ შევასრულოთ გარკვეული კონვენციები და დეკლარაციები, რომლების მონაწილეც არის საქართველო და აღებული აქვს ვალდებულება კონვენციაში თუ დეკლარაციაში გადმოცემული მოთხოვნების შესასრულებლად. განვიხილოთ ის საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებებს. ერთ-ერთი ასეთი დოკუმენტია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2006 წლის 13 დეკემბრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია [3]. ვნახოთ შესაბამისი ამონარიდები:

“..... კ) აღიარებენ (კონვენციაზე ხელმომწერი ქვეყნები მ.ჩ.) ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის აუცილებლობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებაში, მათგან უფრო ინტენსიური თანადგომის საჭიროების მქონეთა ჩათვლით[3],

.....ნ) აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ საერთო კეთილდღეობაში ამჟამად და მომავალში შეტანილ წვლილს და მათი თანამეგობრობების მრავალფეროვნებას და ადასტურებენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ ადამიანის უფლებებითა და ფუნდამენტური თავისუფლებებით შეუზღუდავი სარგებლობის ხელშეწყობა ისევე, როგორც მათი ფართო მონაწილეობა, განამტკიცებს მათში საზოგადოების წევრობის გრძნობას და

მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საზოგადოების ადამიანურ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებასა და სიღარიბის აღმოფხვრას, “[3].

“....მუხლი 5 თანასწორუფლებიანობა და დისკრიმინაციის აკრძალვა

1. წევრი სახელმწიფოები აღიარებენ, რომ კანონის წინაშე და მის თანახმად ყველა ადამიანი თანასწორუფლებიანია და ყველას ერთნაირად, დისკრიმინაციის გარეშე, აქვს უფლება, დაცული იყოს და ისარგებლოს კანონით.

2. წევრი სახელმწიფოები კრძალავენ შესაძლებლობის შეზღუდვაზე დაფუძნებულ ყველანაირ დისკრიმინაციას და ამ უკანასკნელის საფუძველის მიუხედავად, უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სხვების თანაბრად, მისგან ეფექტური იურიდიული დაცვით.“[3

“.....მუხლი 8 საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი მუშაობა

1. წევრი სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ, მიმართონ დაუყოვნებლივ ზომებს, რათა:

ა) აამაღლონ საზოგადოების ცოდნა, მათ შორის ოჯახის დონეზეც, შესაძლებლობის შეზღუდვის საკითხებზე და გააღრმავონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ღირსებისადმი პატივისცემა;

ბ) ყველა სფეროში ებრძოლონ სტერეოტიპებს, ცრურწმენებს და მავნე ადათ-წესებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებაში, სქესთან და ასაკთან დაკავშირებულების ჩათვლით;

გ) უფრო ფართოდ გაავრცელონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უნარ-ჩვევების და საქმიანობის შესახებ ინფორმაცია.

2. ამ მიზნების მისაღწევად გამოყენებული ზომები მოიცავს:

ა) საზოგადოების შემეცნებითი კამპანიის წამოწყებასა და გატარებას, რათა ხელი შეეწყოს:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაცნობიერებას;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ კეთილგანწყობას და ამ საკითხში სოციალური შეგნების ამაღლებას;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უნარ-ჩვევების, დამსახურებებისა და შესაძლებლობის აღიარებას და მათ მონაწილეობას დასაქმების ადგილზე და შრომის ბაზარზე. ბ) განათლების ყველა დონეზე, კერძოდ კი მცირეწლოვან ბავშვებში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისთვის ანგარიშის გაწევის ხელშეწყობას; გ) ყველა მედია საშუალებისთვის მხარდაჭერას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ამ კონვენციის მიზნების შესაბამისი კუთხით წარმოსაჩენად; დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათი უფლებების გაცნობიერებისათვის განკუთვნილი სასწავლო პროგრამების მხარდაჭერას.“[3]

“.....მუხლი 19 დამოუკიდებლად ცხოვრება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა

ამ კონვენციის ხელმომწერი წევრი სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირის თანაბარ უფლებას სხვებთან თანასწორი არჩევანით იცხოვრონ საზოგადოებაში და იღებენ ყველა ეფექტურ და სათანადო ზომას, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს გაუადვილონ ამ უფლებით სრული სარგებლობა და ხელი შეუწყონ საზოგადოებაში მათ სრულ ინტეგრაციასა და მონაწილეობას“[3].

“....მუხლი 27 შრომა და დასაქმება

1. წევრი სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა

შრომის უფლებას სხვებთან თანასწორობის საფუძველზე, აღნიშნული მოიცავს საარსებო სახსრების თავისუფლად არჩეული ან შრომის ბაზარზე არსებული სამუშაოთი გამომუშავების შესაძლებლობის უფლებას და ისეთი სამუშაო გარემოს უფლებას, რომელიც არის ღია, ინკლუზიური და მისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის. წევრი სახელმწიფოები იცავენ და ხელს უწყობენ შრომის უფლების განხორციელებას, მათ შორის იმათთვისაც, რომელთა შესაძლებლობის შეზღუდვა მოხდა სამუშაოს შესრულებისას, სათანადო ზომების მიღებით, საკანონმდებლო ზომების ჩათვლით, რათა, სხვათა შორის:

ა) აკრძალონ დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხება დასაქმების ყველა ფორმას, მათ შორის სამუშაოზე მიღების, დაქირავებისა და დასაქმების, დასაქმების ხანგრძლივობის, სამსახურებრივი წინსვლის პირობებს და შრომის უსაფრთხო და ჯანსაღ პირობებს;

ბ) დაიცვან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამართლიანი და ხელსაყრელი შრომის პირობებით სარგებლობის უფლება, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე, რაც მოიცავს თანაბარ შესაძლებლობებს და თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარ ანაზღაურებას, შრომის უსაფრთხო და ჯანსაღ პირობებს, მათ შორის ძალადობისაგან დაცვასა და საჩივრის დაკმაყოფილებას;

გ) უზრუნველყონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შეეძლოთ შრომის და პროფესიული უფლებების განხორციელება სხვებთან თანასწორობის საფუძველზე;

დ) უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საერთო ტექნიკური და პროფესიული ორიენტაციის პროგრამების, დასაქმების სამსახურებისა და პროფესიული და უწყვეტი მომზადების ეფექტური ხელმისაწვდომობა;

ე) ხელი შეუწყონ შრომის ბაზარზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების შესაძლებლობებს და სამსახურებრივ წინსვლას, ასევე მათ დახმარებას სამუშაოს ძებნაში, მიღებაში, შენარჩუნებასა და დაბრუნებაში;

ვ) ხელი შეუწყონ თვითდასაქმების, მეწარმეობის, კოოპერატივების განვითარების, და საკუთარი ბიზნესის დაწყების შესაძლებლობების შექმნას;

ზ) დაასაქმონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სახელმწიფო სექტორში;

თ) ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კერძო სფეროში დასაქმებას შესაბამისი პოლიტიკისა და ღონისძიებების მეშვეობით, რომლებიც შესაძლოა მოიცავდეს ეფექტურ სამოქმედო პროგრამებს, სტიმულირებასა და სხვა ღონისძიებებს ;

ი) უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სამუშაო ადგილების შესაფერისი გონივრული მისადაგება

კ) ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ ღია შრომის ბაზარზე სამუშაო გამოცდილების მიღებას;

ლ) ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განკუთვნილ პროფესიული რეაბილიტაციისა და კვალიფიკაციის აღდგენის, სამუშაოს შენარჩუნებისა და სამუშაოზე დაბრუნების პროგრამების განხორციელებას.

2. წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არ აღმოჩნდნენ მონობაში ან სავალდებულო სამუშაოებზე და დაცულები იყვნენ, იძულებითი ან სავალდებულო შრომისაგან, სხვებთან თანასწორობის საფუძველზე”[3].

უნდა აღინიშნოს, რომ აქ ერთად მოვიყვანეთ ის ამონარიდები, რომლებიც პირდაპირ არ ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების მიღების ფუნდამენტურ უფლებას, და შესაბამისად, მათ განვიხილავთ ერთიანობაში:

ზემოთ მოყვანილი მუხლები თუ პუნქტები მიგვითითებს, რომ: აუცილებლად უნდა დავიცვათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები და მეტიც, ხელი შევუწყოთ ამ პროცესს; მათ უნდა შესძლონ შეიტანონ საკუთარი წვლილი საერთო კეთილდღეობაში და უნდა ისარგებლონ ადამიანის უფლებებითა და ფუნდამენტური თავისუფლებებით შეუზღუდავად, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების სოციალურ, ეკონომიკურ განვითარებასა და სიღარიბის აღმოფხვრას;

დაცული უნდა იყვნენ ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან შეზღუდული შესაძლებლობების (და არამარტო) გამო, ყველა სერვისი და უფლება მათთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი ისევე, როგორც სხვა დანარჩენი პირებისთვის. რა თქმა უნდა აქ გავაიგივებთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებას, მიიღონ უმაღლესი განათლება და დაეუფლონ პროფესიას, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა არ უნდა შეუწყონ ხელი არანაირ დისკრიმინაციას, მით უფრო, თუ ეს ეხება შეზღუდულ შესაძლებლობებს. კონვენცია გვაკისრებს ვალდებულებას ყველა დონეზე ყველა საშუალება გამოვიყენოთ, რათა ავამაღლოთ საზოგადოების ცოდნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, ვებრძოლოთ დამკვიდრებულ მავნე სტერეოტიპებს და ცრურწმენებს. უმაღლესს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ტოტალურად უსინათლო თუ მცირემხედველ სტუდენტთა სწავლება ამ პუნქტსაც პასუხობს და პირდაპირ ხელს უწყობს. მოსახლეობის იმ დიდ კონტიგენტში, რომელსაც სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები თუ სხვა მომსახურე პერსონალი შეადგენენ, ამ მხრივ ცნობიერების ამაღლებას და მავნე სტერეოტიპების მსხვრევას. რაც შეეხება ამ მუხლის დ) პუნქტს, ის პირდაპირ გვეუბნება, რომ ხელი უნდა შევუწყოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათი უფლებების გაცნობიერებისათვის განკუთვნილ სასწავლო პროგრამებს. დაცული უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლება იცხოვროს დამოუკიდებლად და ჩაერთოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რასაკვირველია, პროფესიის და განათლების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ამას უფრო ეფექტურად შესძლებს. მათ აქვთ შრომის უფლება სხვებთან თანასწორობის საფუძველზე, შრომის ბაზარზე არსებული სამუშაოთი გამომუშავების შესაძლებლობის უფლება და ღია, ინკლუზიური და მისაწვდომი სამუშაო გარემოს უფლება.

“...მუხლი 24 განათლება

1. წევრი სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას განათლების მიღებაზე. ამ უფლებით დისკრიმინაციის გარეშე და სხვებთან თანასწორობის საფუძველზე სარგებლობის უზრუნველსაყოფად, წევრმა სახელმწიფოებმა ყველა საფეხურზე უნდა დანერგონ განათლების ინკლუზიური სისტემა და მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების მიღების შესაძლებლობა, რაც ემსახურება:

ა) პროცენტების პოტენციალის სრულად გამოვლენასა და ღირსებისა და საკუთარი თავის პატივისცემის გაღვივებას, ადამიანის უფლებების, ფუნდამენტური თავისუფლებებისა და ადამიანური მრავალფეროვნების პატივისცემის განმტკიცებას;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ საკუთარი პროცენტების, ნიჭისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებასა და გონებრივი თუ ფიზიკური შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას;

გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თავისუფალ საზოგადოებაში სრულყოფილ მონაწილეობას.

2. ამ უფლებების განხორციელების დროს წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ:

ა) შესაძლებლობის შეზღუდვის საბაზით არ მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გარიყვა განათლების საერთო სისტემიდან და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები ამავე მიზეზით არ გამოეთიშონ დაწყებითი ან საშუალო სავალდებულო უფასო განათლების სისტემას;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, მათ საცხოვრებელ ადგილზე და სხვებთან თანასწორ პირობებში, მიუწვდებოდეთ ხელი ინკლუზიურ, ხარისხიან და უფასო დაწყებით განათლებასა და საშუალო განათლებაზე;

გ) ინდივიდუალური მოთხოვნილებების გათვალისწინებით განხორციელდეს გონივრული მოწყობა;

დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა ისარგებლონ, განათლების საერთო სისტემის ფარგლებში, მათი განათლების ხელშეწყობისათვის აუცილებელი თანადგომით;

ე) დაინერგოს დახმარების ეფექტური ინდივიდუალური ზომები აკადემიური მოსწრებისა და სოციალური განვითარების მაქსიმალურად ხელშემწობ გარემოში, სრული ინტეგრაციის მიზანთან შესაბამისობაში.

3. წევრი სახელმწიფოები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს საშუალებას აძლევენ, შეიძინონ განათლების სისტემასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრული და თანასწორი მონაწილეობისათვის აუცილებელი პრაქტიკული და სოციალური უნარ-ჩვევები. ამ თვალსაზრისით წევრი სახელმწიფოები შესაბამის ზომებს იღებენ, მათ შორის:

ა) აადვილებენ ბრაილის შრიფტის, ალტერნატიული დამწერლობის, კომუნიკაციის გაუმჯობესებული და ალტერნატიული ფორმების, მეთოდებისა და საშუალებების შესწავლას, ორიენტაციისა და გადაადგილების უნარ-ჩვევების შეძენას, ასევე კოლეგიალური მხარდაჭერისა და კურატორობის დანერგვას;

ბ) აადვილებენ ჟესტების ენის შესწავლასა და სმენადაქვეითებულთა საზოგადოების ენობრივი კუთვნილების ხელშეწყობას;

გ) თვალყურს ადევნებენ, რომ უსინათლოებმა, სმენადაქვეითებულებმა ან სმენა და მხედველობადაქვეითებულებმა, განსაკუთრებით კი ბავშვებმა, განათლება მიიღონ იმ ენაზე და კომუნიკაციის იმ ფორმებით თუ საშუალებებით, რომლებიც ყველაზე მეტად შეეფერება თითოეულ მათგანს და ისეთ გარემოში, რომელიც ყველაზე მეტად განაპირობებს აკადემიურ მოსწრებასა და სოციალურ განვითარებას.

4. ამ უფლების განხორციელების ხელშესაწყობად, წევრი სახელმწიფოები ყველა შესაბამის ზომას იღებენ, რათა დაიქირავონ მასწავლებლები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მასწავლებლების ჩათვლით, რომლებიც კვალიფიცირებულები იქნებიან ჟესტების ენაში და/ან ბრაილის შრიფტში და შეეძლებათ განათლების სისტემის ყველა დონეზე მომუშავე პროფესიონალისა და კადრების მომზადება, რაც მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობების კუთხით ცნობიერების ამაღლებასა და კომუნიკაციის გაუმჯობესებული და ალტერნატიული ფორმების, მეთოდებისა და საშუალებების, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე ადაპტირებული პედაგოგიური მასალის გამოყენებას.

5. წევრი სახელმწიფოები თვალყურს ადევნებენ, რომ შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე პირებს ჰქონდეთ საშუალება, მიიღონ სრული საშუალო განათლება, გაიარონ პროფესიული მომზადება, უფროსებისათვის განკუთვნილი კურსები და რეგულარული ფორმაცია. ამ მიზნით ისინი უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საჭირო გონივრულ მოწყობას.“ [3]

ახლა კი განვიხილოთ კონვენციის ის მუხლი, რომელიც უშუალოდ შეეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიერ განათლების დაუფლების უფლებებს და აღებული გვაქვს ვალდებულება შევასრულოთ: უმნიშვნელოვანესია მუხლის პირველივე პუნქტი, რომელიც მკაფიოდ მიგვითითებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აქვთ განათლების მიღების უფლება და უნდა ისარგებლონ ამ უფლებით დისკრიმინაციის გარეშე და სხვებთან თანასწორობის საფუძველზე; განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ჩვენთვის მითითება, რომელიც გვავალდებულებს, რომ განათლების ინკლუზიური სისტემა უნდა დაინერგოს სწავლების ყველა საფეხურზე და მათ მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა გააჩნდეთ განათლების მიღების შესაძლებლობა. მართალია, ცალკე არსად არ არის ნახსენები შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის კონკრეტულად უმაღლესი განათლების მიღების მოთხოვნა, თუმცა, სიტყვები “სწავლების ყველა საფეხური” და “მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების მიღების შესაძლებლობა” პირდაპირ გვეუბნება, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს სურვილის შემთხვევაში უფლება აქვს მიიღოს უმაღლესი განათლება. ამავე მუხლში მკაფიოდ ისახება მოთხოვნა, რომ განათლების მიწოდების პროცესში საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებულები არიან გამოიყენონ და განავითარონ ყველა არსებული ტექნოლოგიები (ბრაილის შრიფტი, კომპიუტერული პროგრამები, სხვადასხვა დამხმარე ხელსაწყოები) და ჩააყენონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების განათლების სამსახურში. აქვე მითითებულია, რომ ხელი უნდა შეეწყოს პროფესიონალებისა და სპეციალური კადრების მოზიდვას, მომზადებას და განვითარებას, რომლებიც ჩაერთვებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების პროცესში.

სალამანკას დეკლარაცია [4] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა განათლების ხელშეწყობისთვის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია, სალამანკას დეკლარაციაში წარმოდგენილ იქნა შემდეგი ძირითადი უფლებები და ცნებები[4]: “ყველა ბავშვს, მათ შორის განათლების სფეროში დროებითი და მუდმივი დახმარების საჭიროების მქონე ბავშვს, აქვს უფლება ისწავლოს სასკოლო დაწესებულებაში; ყველა ბავშვს აქვს უფლება ისწავლოს ინკლუზიურ კლასში; ყველა ბავშვს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს ბავშვზე ცენტრირებულ საგანმანათლებლო პროგრამებში, რათა მოხდეს მისი ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილება; ინკლუზიური განათლების განხორციელება სათანადო პირობებით უზრუნველყოფს მასში ჩართულ ბავშვებს; ყველა ბავშვს აქვს უფლება მიიღოს ხარისხიანი განათლება; ინკლუზიური განათლება განაპირობებს ინკლუზიური საზოგადოების წარმოშობას და ეფექტურობას” [4].

სალამანკას დეკლარაციაში [4] მკაფიოდაა განსაზღვრული, რომ: ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს განათლების მიღების შესაძლებლობა მიუხედავად იმისა, აწყდება თუ არა ბარიერებს სწავლისა და განვითარების პროცესში; ინკლუზიურმა განათლებამ უნდა უზრუნველყოს ისეთი განათლების მიღება, რომელიც ბავშვებს აარიდებს არასრულფასოვნების კომპლექსისა და ამით

განპირობებული უარყოფითი გრძნობების განვითარებას; ინკლუზიური განათლება გულისხმობს თანამშრომლობას და არა კონკურენციას.

სალამანკის დეკლარაციით სათავე დაედო ინკლუზიური განათლების მოდელის საყოველთაოდ აღიარების პროცესს. აღნიშნული მოდელის თანახმად, ყველა ადამიანი განურჩევლად შესაძლებლობებისა და შეზღუდვებისა, განათლებას უნდა იღებდეს თანატოლებთან (უმრავლესობასთან) ერთად [4].

სალამანკას დეკლარაციის მთავარი იდეა არის “განათლება ყველასათვის”. მნიშვნელოვანია, რომ დეკლარაცია მოუწოდებს ქვეყნების მთავრობებს ყველა საფეხურზე პრიორიტეტული გახადონ ინკლუზიური განათლება და მისადმი ხელმისაწვდომობა [4].

მიუხედავად იმისა, რომ სალამანკას დეკლარაცია [4] შეეხება ბავშვთა განათლების საკითხებს, ჩვენთვის მაინც ძალიან საინტერესო და გასათვალისწინებელია მასში მოცემული დებულებები და გამოვდივართ იმ იდეიდან, რომ ბავშვი, რომელიც მიიღებს საშუალო განათლებას, არის საზოგადოების სრულფასოვანი წევრი და მიუხედავად იმისა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა თუ არა, მზად არის და უფლება აქვს მიიღოს უმაღლესი განათლება.

ვნახოთ რა ვითარებაა საქართველოში არსებულ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, და შედარებისთვის თავისუფალი უნივერსიტეტი) როგორ არის ასახული ზემოთ მოყვანილი საკანონმდებლო რეკომენდაციები თუ მოთხოვნები უნივერსიტეტების კანონმდებლობაში.

- მისიები: მოვიყვანოთ შესაბამისი ამონარიდები:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია - “...სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება...” [5]

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია - “...საკაცობრიო ღირებულებების მატარებელი კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, ...”[6]

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ღირებულებები -

“...2) თანაბარი შესაძლებლობები – უნივერსიტეტში სტუდენტებისათვის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის უზრუნველყოფილია სწავლის, სწავლების, მუშაობისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობები, რაც მოიცავს როგორც არჩევანის თავისუფლებას, ისევე უნივერსიტეტის მხრიდან ხელშეწყობას არჩევანის შესაბამისი ქმედებების განხორციელებისათვის;...”[7]

თავისუფალი უნივერსიტეტების მისია

“...შექმნას საქართველოში სწავლის, სწავლებისა და კვლევის საუკეთესო გარემო და ეს გარემო ხელმისაწვდომი გახადოს გამორჩეული ახალგაზრდებისთვის. იყოს სტუდენტების ინტერესებზე და მათ შემდგომ წარმატებაზე ორიენტირებული...”[8].

როგორც ვხედავთ, არცერთი მოყვანილი უნივერსიტეტის მისიაში არ არის ნახსენები შეზღუდული შესაძლებლობები მქონე პირთა სწავლების შესახებ. თუმცა ამონარიდებიდან ჩანს, რომ უნივერსიტეტები ითვალისწინებენ ზოგად ჰუმანურ ღირებულებებს თანაბარ უფლებებზე, სტუდენტზე ორიენტირებასა თუ ჰუმანური ღირებულებების დანერგვაზე.

-წესდებები:

განვიხილოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის და თავისუფალი უნივერსიტეტების წესდებები და შესაბამისი ამონარიდები:

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებებში აღნიშნულ თემაზე მოყვანილია ერთი და იგივე შინაარსის პუნქტი და იმეორებს საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ გადმოცემულ შესაბამის პუნქტს.

“...მუხლი 3, პუნქტი 2, დ) ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთათვის სწავლის პირობების შესაქმნელად...” [5,6,7]

განსხვავებული შინაარსის და მეტად დაზუსტებულია თავისუფალი უნივერსიტეტის წესდება: “...მუხლი 12, 12.2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის დააწესოს შეღავათები მათი სრულფასოვანი განათლებისათვის აუცილებელი პირობების შექმნის მიზნით...” [8]

მაშასადამე, უნივერსიტეტების წესდებები მიუთითებს, მათ მიერ აღებულ ვალდებულებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთათვის სწავლის პირობების შესაქმნელად, ხოლო თავისუფალი უნივერსიტეტი მოუწოდებს შეღავათების დაწესებაზე ამ პირობების შექმნისათვის.

როგორც ვხედავთ, უნივერსიტეტების კანონმდებლობა თავისუფალი მოქმედების საშუალებას იძლევა იმისათვის, რომ შევქმნათ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სწავლების სერვისები, თუმცა არანაირად არ აკონკრეტებს, არ აზუსტებს და რაც მთავარია, არ ახალისებს მათ. ჩვენი აზრით, საჭიროა უფრო მეტად დაზუსტებული და დაკონკრეტებული დებულების ჩამოყალიბება.

დასკვნა:

1. ყველა ზემოთ განხილული მარეგულირებელი დოკუმენტი აძლევს საშუალებას და აქეზებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს მიიღოს სრულფასოვანი უმაღლესი განათლება;

2. შესაბამისად, ეს ავალდებულებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შექმნან სრულფასოვანი სერვისები და პირობები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთა სწავლებისათვის.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ვალდებულები არიან შორს იყვნენ ყოველგვარი დისკრიმინაციისაგან, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების გამო.

4. აუცილებელია მომზადდეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრები, რომლებიც ჩაერთვებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სწავლებაში უმაღლესი სკოლის საფეხურზე.

5. აუცილებელია დამუშავდეს ყველა ის პროგრამული, აპარატურული, და სხვა ტექნოლოგიები, სხვა და სხვა ტიპის მოწყობილობები, აპლიკაციები, ფრეიმვორკები, საგნები და პროდუქტები, რომლებიც დაეხმარება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს სწავლაში და სასწავლო გარემოს ადაპტაციაში.

6. მიუხედავად წინა პუნქტებში გადმოცემული დებულებებისა, შესწავლილი დოკუმენტების უმრავლესობა პირდაპირ არ მიგვითითებს, არ აზუსტებს და არ იძლევა რეკომენდაციებს თუ როგორ უნდა განხორციელდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ უმაღლესი განათლების შეუზღუდავი მიღება;

7. შესაბამისად, ამ დოკუმენტებში შესაბამისი მუხლები თუ პუნქტები მოითხოვს მეტ დაზუსტებას, და რაც განსაკუთრებით აუცილებელია, მეტ განვრცობას;

8. აუცილებელია მითითება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სწავლების სპეციალური სასწავლო გრაფიკის შედგენაზე და მათი სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით აღჭურვილი ყველა იმ სერვისების მიწოდებაზე,

რასაც ზოგადად სთავაზობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება თავის სტუდენტებს.

9. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ მცირედით შეეხება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საკითხს და საჭიროა უფრო მეტი დაზუსტება და მეტი კონკრეტული მითითებების დამატება.

10. განსაკუთრებით მწირ მითითებებს გვაძლევს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სწავლებაზე ზემოთმოყვანილი უნივერსიტეტების კანონმდებლობა - მისიები და წესდებები და შემოიფარგლებიან ზოგადი მითითებით;

11. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2006 წლის 13 დეკემბრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის 24-ე მუხლი გვაძლევს ყველაზე მეტად გარკვეულ და მკაფიო განცხადებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. უსინათლოთა და მცირე მხედველთა ასოციაცია “უსინათლოები საზღვრებს გარეშე” ოფიციალური ვებ-გვერდი: www.bu.org.ge;
2. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2006 წლის 13 დეკემბრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია;
4. სალამანკას 1994 წლის დეკლარაცია ინკლუზიური განათლების შესახებ;
5. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია და წესდება, www.tsu.ge;
6. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია და წესდება, www.gtu.ge;
7. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია და წესდება www.iliauni.ge;
8. თავისუფალი უნივერსიტეტის მისია და წესდება, www.freeuni.ge.

Article received 2020-05-02